აკაკი თოდუაის ძმისა ქორწი

287 1 199

287 1 199

დასკანირებულია
16.01.2025 (13)

13.

კარგი სახელმძღვანელო სწუდენტებისა და მასწავლებლებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დოც. აკაკი თოფურიას ნაშრომი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“. ეს ნაშრომი განკუთვნილია პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტთა და მასწავლებელთათვის.

ცნობილია, რომ ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში სუსტადაა დამუშავებული ლიტერატურის სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მისი მეთოდიკა. ამდენად აკ. თოფურიას ნაბიჯი ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაზე სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ უსათუოდ დიდად მისასალმებელი და საყურადღებო მოვლენაა.

ავტორს თავისი ნაშრომი ნავარაუდევი აქვს ორ ნაკვეთად: V-VII კლასები და VIII-X კლასები. ამჟერად გამოსული ნაშრომის პირველი ნაკვეთი შედგება ორი ნაწილისაგან- პირველი — ზოგადი (გვ. 5-113). და მეორე — სპეციალური (გვ. 114-356). ზოგადი ნაწილში ავტორს გარჩეული აქვს ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, კერძოდ ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ქართული ლიტერატურის მეთოდის თავისებურება, კურსის ამოცანები, საგანი, კვლევა-ძიების ხერხები, წყაროები და სხვ.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი მთლიანად მიძღვნილი აქვს სპეციალურ საკითხს—ლიტერატურულ კითხვას. აქ დაწვრილებით განხილულია ლიტერატურულ კითხვასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი საკითხი და მათი ღრმა გაანალიზებისა და საორიენტაციო ნიმუშების საფუძველზე ნაჩვენებია მისი დიდი მნიშვნელობა მოსწავლე ახალგაზრდობის ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნების გამომუშავებაში. წიგნი ყურადსაღებია იმ მხრივაც, რომ მასში დასმული ძირითად მეთოდიკურ-პრობლემატიკური საკითხების განხილვას თან ერთვის გემოვნებით შერჩეული ლიტერატურული ტექსტები, აგრეთვე თავის პირად და ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებიდან აღებული საინტერესო მაგალითები. ავტორი დოც. აკ. თოფურია მეცნიერულად ასაბუთებს ახალ დებულებას ქართული და რუსული ლიტერატურის სწავლების კოორდინაციის აუცილებლობაზე ჩვენს სკოლებში. წიგნი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ დიდ დახმარებას გაუწევს როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-ახალგაზრდობას და მასწავლებლებს, ისე ლიტერატურის მეთოდიკის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ჯ. ვარდიაშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში — რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს წიგნსაცავში. მისი წიგნის ფონდი შეადგენს დაახლოებით 1.400.000 ტომს.

აი პირველი ქართული წიგნი, გამოცემული 1629 წელს რომში. მის გვერდით არის ისეთი უნიკალური გამოცემები, როგორიცაა მაჯიოს ქართული გრამატიკა ლათინურ ენაზე, რომელიც 1670 წელს ეკუთვნის, ვახტანგისა და არჩილის სტამბებში დაბეჭდილი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", ბაქარის ბიბლია და სხვები.

ცალკე დარბაზში მოთავსებულია პერიოდული გამოცემები. აქ არის ერთადერთი სრული კომპლექტი „ქართული გაზეთისა", რომელიც XIX საუკუნეში გამოდიოდა ქართულ ენაზე, იმავე დროის პროგრესული ქართული

ბიბლიოთეკას ბევრი წიგნი აჩუქეს თვალსაჩინო ქართველმა მეცნიერებმა ი. ჯავახიშვილმა, პ. მელიქიშვილმა, ა. ცაგარელმა, ქ. კეკელიძემ, გ. ახვლედიანმა, ა. შანიძემ და სხვებმა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წიგნების გაცვლას აწარმოებს უცხო ქვეყნების ბევრ ბიბლიოთეკასთან და წიგნსაცავთან. წელს მიღებულია წიგნები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, კალიფორნიის, ავსტრალიის, ინდოეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უნივერსიტეტთა და სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკებისაგან. ამას წინათ ინგლისიდან მიღებულია ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, რომელიც 1950 წელს გამოიცა ლონდონში. ახლა ბიბლიოთეკაში არის მსოფლიოს 40-ზე მეტი ხალხის ენაზე გამოცემული წიგნები. (საქდესი).





პუბლიკაში ქართველ მწერალთა სათვალავით მეთერთმეტე მემორიალური მუზეუმი.

მრავალი ექსკურსია მიდის მემორიალური მუზეუმების სანახავად თითქმის წლის ყოველ დროში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მიმდინარე წელს ათიათასობით ექსკურსანტმა ინახულა ი. ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმები სოფელ საგურამოსა და რაიონულ ცენტრ ყვარელში. ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ სხვადასხვა დოკუმენტსა და მასალას მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ი. ჭავჭავაძის მეგობრობაზე მოწინავე რუს მწერლებთან.

დიდი მეგობრობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს რუს, უკრაინელ, სომეხ და სხვა პროგრესულ მწერლებთან და მოღვაწეებთან. ამაზე მეტყველებენ საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში შექმნილი მემორიალური მუზეუმის გამოფენები: „მოწინავე